საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოგრა

გოგრა, (Cucurbita), ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეების გვარი გოგრისებრთა ოჯახისა. გ. ბაღჩეული კულტურაა, აქვს მთავარღერძა მძლავრი ფესვთა სისტემა. მისი ძირითადი ნაწილი ნიადაგში 40–50 სმ სიღრმეზეა გავრცელებული, ცალკეული ფესვები – 4–5 მ -ზე, ღერო მხოხავი და მხვიარაა, ფოთოლი ფართო (25 სმ), გრძელყუნწიანი და ბუსუსიანი, ზარისებური ყვავილი ყვითელი ან ნარინჯისფერია. სახეობისა და ჯიშის შესაბამისად, ისხამს სხვადასხვა ფორმისა და შეფერილობის ნაყოფს, რ-ის მასა 4–10 კგ. ზოგიერთი სახეობის გ. რამდენიმე ათეულ კგ იწონის. თესლი მსხვილი, ოვალური, თეთრი ან მოყვითალოა. გ. გაყოფილსქესიანი, ერთსახლიანი, ჯვარედინმტვერია, სითბოსა და სინათლის მოყვარული გვალვაგამძლე მცენარეა. ფართოდაა გავრცელებული გოგრის 3 სახეობა: მსხვილნაყოფა (C. maxima) ანუ გიგანტური გ., რ-ისგანაც გამოყვანილია სუფრის, საკვები და დეკორ. ჯიშები [საქართველოში გავრცელებულია დიდნაყოფა (თათრული) გ.]; მუსკატური (C. moschata) ანუ ჯავზის გ. (საქართველოში ცნობილია თაფლა გ-ის, ხურჯინას, ბორჩალოური გ-ის სახელით, გავრცელებულია ქვემო ქართლის დაბლობ ზონაში); მაგარკანიანი (C. pepo) რა სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი: იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში კვახს უწოდებენ; გურიასა და აჭარაში – ხაპს; სამეგრელოსა და სვანეთში – კოპეშიას, კვახნეს; საინგილოში – გუგრას; ჭანეთში – კაიშს, ყოყორეს და სხვ. მსხვილნაყოფა და მუსკატური გ-ის სამშობლოა ამერიკა, მაგარკანიანის – აზია–აფრიკა. თესლი აღმოცენებას იწყებს 15°C ტემპ-რაზე, მისი ზრდა-განვითარების ოპტიმალური ტემპრაა 25–28°C. კარგად ხარობს ნაყოფიერ, ღრმა, ორგ. და მინერ. სასუქით უხვად განოყიერებულ მსუბუქი მექან. შედგენილობის ნიადაგზე. გ-ის ნაყოფი შეიცავს მინერ. მარილებს, ნახშირწყლებს, პექტინებს, კაროტინს, ვიტამინებს (C, B1, B2, E) და სხვ. გ-ის თესლისაგან ხდიან ზეთს. გ. სამკურნალო მცენარეა, იყენებენ საჭმელად, აგრეთვე ცხოველთა საკვებად.

ლიტ. : ჯ ა ფ ა რ ი ძ ე გ., კ ვ ა ჭ ა ძ ე გ., მებოსტნეობა, თბ., 1951; Д а с к а л о в Хр. С., К о л е в Н. Б., Овощеводство, София, 1958.

ვ. ჯაფარიძე

გოგრა. **მაგარკანიანი** **გოგრა** (Cucurbita pepo).